



COUNCIL OF EUROPE    CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

**ფრენსის გულია**

## **ევროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები**

**ზოგადევროპული კომპეტენციები და  
კორტფოლიოები**

**ენობრივი პოლიტიკის განყოფილება**

**სტრასბურგი, 2007**

 **Didier**

ნაშრომის თარგმანი შეთანხმებულია ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შეზღვევით და უმაღლესი განათლების დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი CEDEX) და გამომცემლობა „Didier“-სთან.

კვლევის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის და წყაროში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.

© Council of Europe, for the English version 2007

© Editions Didier

 Didier



© „საიგილო“, 2008

გამომცემლობა „საიგილო“  
თბილისი, 2008

# შინაარსი

წინასიტყვაობა	5
ევროპის საბჭო და თანამედროვე ენები	7
ენათა ფელონის ზოგადევროპული კომპეტენციები	8
ევროპული ენობრივი პორტფოლიო	9
ნაწილი 1: ენათა ფელონის ზოგადევროპული კომპეტენციები და ევროპული ენობრივი პორტფოლიო	11
შესავალი: რისთვის გეჭირდება ანალიზის ბაღე და საერთო კატეგორიები	12
თავი 1: ენის კურსის აღწერის ძირითადი კონცეფციები	14
1. კონტექსტის მნიშვნელობა, როგორც სასწავლო მასალა გამოყენებულ	14
2. რას გულისხმობს CEFR „კომპეტენციის“ ქეე?	17
2. 1. ინდივიდუალური ზოგადი კომპეტენცია	17
2. 2. კომუნიკაციური კომპეტენცია	17
3. ენობრივი აქტივობები სწავლების მეთოდურ ცენტრში	19
დასკენა	21
თავი 2: ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა თანამედროვე ენების სწავლაში	22
1. რა არის საკომუნიკაციო ამოცანა?	22
2. ამოცანების მაგალითები თანამედროვე ენების სახელმძღვანელოებში	23
3. როგორ შეიძლება გაანალიზდეს საკომუნიკაციო დაეალება?	26
4. საკომუნიკაციო დაეალებების ადგილი ჰედაგოგიურ თანმიმდევრობაში	31
თავი 3: ზოგადი შეფასების დონეების სკალა	36
1. ზოგადი შეფასების დონეების მიღება ოფიციალურ ტესტებში	36
2. შეფასების დონეები, ენობრივი აღქმა და საწარმოო მოღვაწეობა	38
3. შეფასების დონეები და საკომუნიკაციო დაეალებები	42
4. კომპეტენციის დონეების ცალსახად პოზიტიური განმარტება	46
5. ევროპული ენობრივი პორტფოლიოს შესამოწმებელი სია	47
ნაწილი 2: ენების შეფასების ზოგადევროპული პროგრამა და ევროპული ენობრივი პორტფოლიო (თანამედროვე ენების სწავლების მეთოდები და მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარება)	50
შესავალი: CEFR და თანამედროვე ენების სილაბუსები	51
თავი 1: CEFR-ის და ELP-ის გამოყენება გაკეთილის ჩასატარებლად	54
1. საკომუნიკაციო დაეალებების შედგენაში პრიორიტეტების განსაზღვრა	54
1. 1. ელასება და სწავლების გტაპებს შორის უწყვეტობის უზრუნველყოფა	56
1. 2. ხელმისაწვდომი ლინგვისტური რესურსების გამდიდრება	60
2. ენობრივი აქტივობების დადგენა მიცემული დაეალებების მიხედვით	62
3. საკომუნიკაციო დაეალებებით ერთიანი მიმართულების შემოთავაზება	63
3. 1. მოსწავლეებისათვის საშუალების მიცემა, რათა დაეალებების მნიშვნელობა აღიქვან მათ პროგრესთან შესაბამისობაში	68
3. 2. უშუალო კავშირის შექმნა საკლასო ოთახის სიტუაციასა და დესკრიპტორებს შორის	71
3. 3. მოსწავლეების ხელშეწყობა მათი წარმატების კომუნიკაციურ ამოცანებში დასაღვენად	73
4. მოსწავლეების დახმარება ენობრივი მიზნების თეად დასახებაში	74
5. სახელმწიფო ენის შეზღუდული გამოყენება	77
6. პროგრამის შექმნა დაეალებების საუბეგულზე, რომლებიც შეესაბამებიან CEFR დონეებს	78
თავი 2: როგორ უნდა შეუხდეს ენობრივი კომპეტენციები	85
1. შეფასების ტესტის შედგენა CEFR-ზე დაერდნობით	85
2. მოსწავლის მიერ დაეალებების შესრულების შეფასება ტესტში	91
3. თითქმედასება და მასწავლებლის შეფასება	94
4. ნიშნები და კომპეტენციის დონეები	94
5. როდის შეიძლება ჩაითელოს რომ მოსწავლემ მიიღწია კომპეტენციის დონეს?	96
თავი 3: ELP-ის გამოყენება მოსწავლეებში მრეაღენოვნების მხარდასაჭერად	98
1. როგორ განსაზღვრავს CEFR მრეაღენოვნებას	98
2. სხვა ენების შესწავლის აქტივობების გათეალისწინება	99
3. მრეაღენოვნების შეფასება მოსწავლეებში	110
დასკენა	119
ტექსტებთან, ფოტოსურათებთან და ილუსტრაციებთან დაეაშორებული დამოწმებული ლიტერატურის სია	121

Language Policy Division  
DG IV – Directorate of School, Out-of-School and Higher Education  
Council of Europe Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება

IV განყოფილება - ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატი, სტრასბურგი

შარბმანი შერაბ ბაბუხაიანი

რედაქტორი: მარია ოპელი

ტექსტი ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ვებ-გვერდზე:

[www.coe.int/lang](http://www.coe.int/lang) <<http://www.coe.int/lang>>



## წინასიტყვაობა

დღეისათვის თანამედროვე ენების საკითხის წამოჭრისას რეკლამარულად ახსენებენ ენათა ფლობის სოციალურ-კომპეტენციებს (CECR). მიუხედავად ამისა, ეს პროგრამა მინც არ არის სათანადოდ ცნობილი. იმ შემთხვევაში, თუ ენის მასწავლებლები ამ პროგრამას არ იყენებენ მეთოდად, მათ უნდა მიუთითონ ისევე CEFR-ზე, რათა არაჩაიროს გაუგებარე არ იქონიოს ყოველდღიურ სწავლებასა და შეფასებაზე. მასწავლებლებს და, შესაბამისად, მათს მისწავლებებს არ შეეძლებათ სრულად მიიღონ სარგებელი არსებული სიტუაციიდან. უარეს შემთხვევაში - გაუგებრობის არსებობისას, CEFR შესაძლებელია ყურადღების საგნად იქცეს.

CEFR-ს შეაქვს გარკვეული წვლილი ევროპულ ენობრივ პოლიტიკაში, რომლის ძირითადი მიზანია ევროპული მოქალაქეების კომუნიკაციური კომპეტენციების გაუმჯობესება და გამჭვირვალობის შექმნა ენობრივ კვალიფიკაციებში. ეს ორმაგი მიზანი ნათლად არის გამოკვეთილი ადგილობრივ, ეროვნულ და ევროპული პოლიტიკის დოკუმენტებზე, რაც ხსნის CEFR-ის სოციალური საბაზო სკალის სწრაფი და ფართო აღიარების მიზნებს. პროგრამა ხდება მნიშვნელოვანი მეთოდი ევროპულ ქვეყნებში განათლების ახალი მიმართულების შექმნისათვის თანამედროვე ენების სფეროში. ის ევროპულმა კავშირმა მიიღო ენართა დონების დადგენის სტანდარტად. ახალი ევროპისა, რომელიც ოფიციალურად ჩატარდა 2005 წელს, შეიმუშავებს ევროპული ენების პორტფოლიოს (ELP), ენის პასპორტს და CEFR დონეებს.

ნათელია CEFR-ის უპირატესობანი განვითარებადი ენობრივი პოლიტიკისათვის. მიუხედავად ამისა, მინც აუცილებელია ექვენათ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ენის სწავლებას ყოველდღიურ პრაქტიკაში. სრული სათაური - ენათა ფლობის სოციალურ-კომპეტენციები: სწავლა, სწავლება, შეფასება, უწყვეტობა, რომ ის ეხება ენის მასწავლებლების ყველანაირ პროფესიულ აქტივობას და არა მხოლოდ მისწავლის შეფასებას, როგორც ამას სოციალურ მოიაზრებენ.

პირველ რიგში, აუცილებელია გაირკვეს ურთიერთობა ენათა ფლობის სოციალურ-კომპეტენციებსა და ევროპული ენების პორტფოლიოს შორის. თუ კვლავაცხადით თვალსაზრისით მიუხედავით - ორივე განუყოფელია; CEFR-ი გამიხსნელია ენის სწავლების პოლიტიკის შექმნისთვის, ELP-ი კი - შემსწავლელთათვის. განსხვავება *პერსპექტივაშია* და არა მიდგომაში. ამის გამო, თითოეულ მათგანზე სპეციფიკური კონტექსტის მიხედვით უნდა ვისაუბროთ.

ამ დოკუმენტის მიზნებია:

- განისაზღვროს „კომპეტენციებისა“ და ELP-ის წვლილი თანამედროვე ენათა სწავლების პერსპექტივის თვალსაზრისით;
- შეძლებისდაგვარად, კონკრეტულად ეუწყენათ, თუ როგორ შეუძლია ენის მასწავლებელს ამ მეთოდებით შემოთავაზებული რესურსების გამოყენება;
- და ბოლოს: ეუწყენათ, რომ ეს ორი მეთოდი არ წარმოადგენს ენის სწავლების დინამიკაში მიმართულების ფუნდამენტურ ცვლილებას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, არამედ მნიშვნელოვანი ბერკეტი არსებული მიზნების მისაღწევად.

ზემოთ ჩამოყალიბებული მიზნიდან ნათელია, რომ ეს დოკუმენტი არ გადმოგვცემს CEFR-ის სრულ უპირატესობებს. შინაარსთან დაკავშირებით, შერჩევითად უნდა ვიმოქმედოთ და ორიენტირებული ვიყოთ იმაზე, თუ რა არის უპირველესი მიზანი ენის მასწავლებლებისათვის სკოლასა და საკლასო ოთახში. შესაძლებელია, არსებობდეს სხვადასხვა არჩევანი, თუ ეს დოკუმენტი სასწავლო მასალის ავტორებისათვის იქნებოდა განკუთვნილი; მაგალითად - ენის გამოცდის ორგანიზატორებისათვის.

მოყვანილი იქნება ამონაწერები სახელმძღვანელოებიდან და კომენტარები იმისათვის, რათა ეუწყენათ ჩვენი არგუმენტები. ამ სახელმძღვანელოების უმრავლესობა არის Editions Didier-ის (პარიზი) გამოცემები, რომელსაც ხელი მიუწავება ავტორთან და წყაროებთან. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოები იქნება გამოყენებული CEFR-ისა თუ ELP-ში ასახული მიდგომების წარმოსახენად. იგივე შენიშ-

ენა მიესადაგება ენებს მოყვანილ ამონაწერებს. ამ ამონაწერებში მხოლოდ შვიდი ენა ჩანს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოყვანილი არგუმენტები მიესადაგება ყველა ენას, რომლებიც ისწავლება, და არა მხოლოდ ამ დოკუმენტში მოყვანილ საკმაოდ მცირე ენობრივ ნაშრომთაგანს.

აქ მოყვანილი მრავალი მაგალითი ესემა ენის სწავლებას საფრანგეთში. მათი მიზანია, ვუჩვენოთ არგუმენტები კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით და გაეცინოს, რომ პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, CEFR-ის გამოყენება უადრესად კომფორტულია ასეთი სწავლების ორგანიზებასა და სწავლების პრაქტიკაში.

საბოლოოდ, ამ დოკუმენტის სამოყალიბებელი მიზანი გეიშენებს, თუ რატომ გამოიყენება ტერმინი „მოსწავლე“ სისტემატურად ენის შემსწავლელია და ELP-ი – მომხმარებლებთან მიმართებით. ენის მასწავლებლებს, რომელთათვისაც ძირითადად ეს დოკუმენტია განკუთვნილი, აქვთ მოსწავლეები, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ არც CEFR-ი და არც ELP-ი არ არის მხოლოდ სკოლებზე ორიენტირებული. ვერაპის საბჭო არის ყველა ევროპელისთვის, იქნებთან განვი ბავშვები, ასაღვასრულები თუ სრდასრულები. ამის მსგავსად, იმავე მიზეზების გამო, ეს დოკუმენტი მოიცავს მხოლოდ CEFR-ში დადგენილ რამდენიმე იდეას. მას არ შეუძლია შეცვალოს CEFR-ის კონცეპტი.

ენის მასწავლებლებისათვის CEFR-ისა და ELP-ის გამოყენების გადაწყვეტა ნიშნავს, საკუთარ თავს მიზნების მიღწევის საშუალება მისცენ: მოსწავლის მხარდაჭერა ენის სწავლებაში, მოსწავლეთა უსრუწველყოფა მათი მიზნების თავადვე დასადგენად და მათი ავტონომიის გასაერთარებლად, ენობრივი პროგრესის აღწეხვა, წარმატების შეფასება და ენის სწავლისთვის მნიშვნელობის მიცემა. ასეთი სწავლა ეყრდნობა, სხვათა შორის, ძირითადად ევროპულ განზომილებებს და სამყაროს მიმართ გახსნილობას. ათასობით მასწავლებელმა, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, დიდ დროსა და ენერგიას უთმობენ წარმატებულ პარტნიორობას, უცხოეთის სკოლებთან გაცვლით პროექტებსა და სხვა ქვეყნებში ვიზიტებს, კარგად იციან, რომ ენის ნამდვილი სწავლა შეუძლებელია ამ სურვილის – ევროპულ და საერთაშორისო კულტურებში ჩართვის გარეშე.

CEFR-ი და ELP-ი მასწავლებლებს საშუალებას აძლევენ, ინტენსიური გახადონ ეს პროცესი ყველა საკლასო დონისთვის, სწავლებისა და შეფასების გააზრებულად ჩატარების გსით ევროპულ რაკურსში.

NBNB: ამ ახალი გამოცემისათვის გარკვეული ცვლილებები შევიდა შინაარსში, რათა მრავალრიცხოვანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც (ცვლილებები ზოგიერთ მაგალითში და სხვა ენების მაგალითების ჩართვა, საფრანგეთის განათლების სისტემის ზოგიერთი მახასიათებლების ახსნა და ა. შ.). ეს ცვლილებები არანაირად არ მოქმედებენ არგუმენტებს, რომლებიც მსგავსია წინა გამოცემებში არსებული არგუმენტებისა.

# ევროპის საბჭო და თანამედროვე ენები



(CEFR) ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციებისა და ევროპული ენობრივი პორტფოლიოს (ELP) მიზნების უკეთ გასაგებად, მცირე ინფორმაციას უნდა ეუფლებოდეთ ევროპის საბჭოს, ეს ორგანიზაცია, რომლის შტაბ-ბინა სტრასბურგშია. ევროპის ენობრივი მრავალფეროვნებისა და ენების სწავლის ხეყროში საქმიანობას ევროპული კულტურული კონვენციის მიხედვით, რომელიც ხელმოწერისათვის გაშლდა 1954 წლის 1 დეკემბერს. ის ამჟამად აერთიანებს 46 ევროპულ წევრ-სახელმწიფოს. ის აერთიანებს პოლიტიკას, რომელიც შექმნილია ურთიერთგაგების გაძლიერებისა და გაღრმავების, დემოკრატიული მოქალაქეობის კონსოლიდაციისა და სოციალური ერთიანობის შენარჩუნებისათვის.


თანამედროვე ენებს ევროპის საბჭოს მეშვეობით იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი ეძიება. წინა პრიორიტეტი მხარს უჭერდა მდელი დონის კომუნიკაციური კომპეტენციის დაუფლებას ისე, რომ ეუფლებას შეძლებოდა ხარვეზული მიელო ურთიერთქმედებითა და მიზილურებით ევროპაში. მას შეძლეა ახალი პრობლემები დადგა გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის გამო. ენობრივი უნარები ახლ თანაბრად აუცილებელია ეუფლა მოქალაქისათვის სოციალური ერთიანობისა და ინტეგრაციისათვის და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპაში, მრავალენოვან საზოგადოებებში.

თანამედროვე ენების სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ([www.coe.int/lang](http://www.coe.int/lang)) ერთიანი სტრატეგიის შემუშავებით და აგრეთვე ავსტრიაში, ქალაქ გრაცში, თანამედროვე ენების ევროპული ცენტრის ([www.ecml.at](http://www.ecml.at)) დაარსებით.

ენის მასწავლებლები აღიარებენ ევროპის საბჭოს გარკვეულ წესდის მათს ეოეუდლიურ პრაქტიკაში, კერძოდ, უდგათ ამ ორგანიზაციის რილი კომუნიკაციური მიდგომის შემოტანაში ენის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებში. ეს წესილი საზგასმულია რიგ სეროელ გამოცემებში 1975 და 1990 წლებში ენობრივი საშუალებების წამოწაოვებით, რომელიც საჭიროა სხვა ენაზე მილაპარაკებისათხ სათანადოდ ურთიერთობისათვის: "niveau seuil" ფრანგულად, "Kontaktschwelle" გერმანულად, "nivel umbral" ესპანურად, „ხეყრული დონე“ ("threshold level") ინგლისურად და მისი. ამ ნაშრომებმა გადამწვევტი წესილი შეიტანა ფუნქციური ხედვის შემოტანაში, რაც დაკავშირებულია ხილაბუხებში და სასწავლო მასალებსა და პრაქტიკაში კომუნიკაციური ამოცანებთან. მით შესაძლებელი გახადეს, გამოკეთილყო ზოგადი და სპეციოკური ცნებები და ენის ფუნქციები, რომლებიც მეტად საჭირო ინტერუქციონებად იქცნენ.

# ენათა ფლობის ზოგადეპროკული კომპეტენციები

CEFR-ი არის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია 1993 და 2000 წლებში ექსპერტების მიერ ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობით. ის თვითნაყოფიერად მიღებული იყო კიდევ ერთი კონსულტაციის შემდეგ 2001 წელს ენების ევროპული წლის განმავლობაში.



CEFR-ი გამოიყენება ევროპის საბჭოს ორ თვითნაყოფიერ ენაზე ინგლისურად (კემბრიჯის უნივერსიტეტის პრეზა, 2001 წ.) და ფრანგულად (Editions Didier, 2001) და გადაითარგმნა 30-ზე მეტ ენაზე. ის არ არის დოკუმენტი ან ინსტრუქციების მიმცემი დოკუმენტი, რომელიც თანამედროვე ენის სწავლისა და სწავლების სპეციფიკურ არგუმენტებსა და არსებულ ენაზე სწავლის სახელმწიფოთა ვის, ენაზე ინსტრუქტორში, ენაზე სამსახურ აკადემია და ენაზე ენისათვის მხოლოდ ერთ მეთოდს აწესებს.

მისი ძირითადი მიზანია, შეასრულოს აღწერითი მეთოდის ფუნქცია, რომელიც არსებულ საშუალებებს მისცემს სხვადასხვა კონტექსტში ენის სწავლებას ან საგანმანათლებლო დაწესებულებებს. CEFR-ის გამოყენებით მათ შეუძლიათ აღწერონ და შეადარონ მათი სასწავლო გარემოები, სწავლების მიზნები, რომელთაც ისინი მიჰყვებიან და შედეგები კვალიფიკაციის დონეების მიხედვით.

CEFR-ის მნიშვნელოვანი მიზანია, მხარი დაუჭიროს გამჭვირვალობას და შედარებითობას ენის სწავლების დარეგულირების პროცესში და ენის კვალიფიკაციაში. ამ მხრივ, ის გათვალისწინებს:

- სიტუაციებისა და არსებულს გაანალიზებისა და აღწერის საერთო მეთოდოლოგიას ენის სწავლებასა და სწავლაში;
- საერთო ტერმინოლოგიას ენაზე ენისათვის და საგანმანათლებლო კონტექსტისათვის;
- ენის კვალიფიკაციის დონეების საერთო სკალას მიზნის დასახელებისა და სწავლის შედეგის შეფასების დახასმარებლად.

CEFR-ი იყენებს აქტიუობაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ემყარება ენის სწავლებასა და სწავლას და საკომუნიკაციო ამოცანების შესრულებას.

# ეპროკული ენობრივი კორტუოლიო

2001 წელს ოფიციალურად დაწეებული CEFR-ის საძილოტე პროექტი 15 ეუროპულ ქვეყანაში წარმოადგენს ენის შემსწავლედლოათვის გარკვეულ დონეზე CEFR-ში გათვალისწინებული მიდგომებისა და მეთოდების მიწოდებას.

ELP-ი არის შემსწავლელის - მოსწავლის, შეგირდის ან სტუდენტის საკუორება. ის თან ხდევს შემსწავლელს სწავლის მიუდი პროექტის განსახვლობაში, თუნდაც მანამდე, ხანამ ისინი შეიცვლიან აკადემიურ თუ ხასწავლო კერსს, რაც სხვა ELP მოდელს ხდის ხასურეულს ან აუცილებელს (გადასვლა დაწეებითი სკოლიდან ხაშუალო სკოლაში და ა. შ.)



ELP-ი მომხმარებლებს აძლევს შემდეგ ხაშუალებებს:

- ნაიწეროს მათი ეველა ენობრივი უნარი და გამოცდილება სხვადასხვა ენის გამოყენებაში, სხვა ქვეყნებში ან დანარსენ რეგიონებში და იმ ენაზე მეტყველებთან კონტაქტები, რომლებიც განსხვავდება მათი მშობლიური ენისაგან (ენებისაგან) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი წარდგენა მესამე მხარისთვის;
- განუითარდეს მათი ენის სწავლის ავტონომიურობა, ანუ იმაზე ფიქრი, თუ როგორ საქმიანობენ და სწავლით როგორ ახდენენ თვითშეფასებას;
- მიზანმიმართული სვლა ნამდვილი მრავალენოვნებისკენ.

ყოველ ELP-ს აქვს სამი ნაწილი:

- ენობრივი პასპორტი, რომელშიც მომხმარებლები იწერენ ინფორმაციას დონის შესახებ ეველა იმ ენაში, რომელიც მათ იცაან ან სწავლობენ;
- ენობრივი ბიოგრაფია, რომელიც მხარს უჭერს წინარე სწავლისა და თვითშეფასების ასახვას;
- საქმე, რომელიც შეიცავს აღნიშნული დონეებისა და მოხსენებელი გამოცდილების დამამტკიცებელ მასალებსა და დოკუმენტებს.

ELP-ები იცვლება ქვეყნისა და საგანმანათლებლო კონტექსტის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი დაექვემდებარა ეუროპული ხარტიფიკაციო კომიტეტის დოკუმენტს, რომელიც მათ აკრედიტაციის ნომერს ანიჭებს. მრავალენოვნების მიუხედავად, ისინი ინარსუნებენ ეუროპულ ორიენტაციას, რაც მათი გამოყენების აღიარების პირობაა ნებისმიერ დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იცვლება საცხოვრებელი ადგილი (სხვა ქვეყანაში ან რეგიონში მატრაცია) სწავლის მიხსით.



მაგალითად, საფრანგეთში 2006 წელს სამი ELP-ის მოდელი დაკანონდა:

- Mon Premier Portfolio დაწეებითი სკოლისთვის (აკრედიტაცია № 202000) შემუშავებული CIEP-ის მიერ;
- PEL college (აკრედიტაცია № 44, 2003) შემუშავებული CIEP-ის ექსპერტების და მკვლევრების მიერ cole normale supericure (ENS) de L.ctres et Sciences humaines-დან;
- Mon Premier Portfolio (აკრედიტაცია №5-2000) შემუშავებული კანის რეგიონული საგანმანათლებლო უფლებამოსილების სამუშაო ჯგუფის მიერ და გამოცემული CRDP de Basse-Normandie-ისა და Editions Didier-ის მიერ.

ევროპის საბჭო მასწავლებლებს უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებისა და პრაქტიკული მაგალითების სერიებით, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლებელია იხილოთ ELP-ის ვებ-გვერდზე ([www.coe.int/portfolio](http://www.coe.int/portfolio)). უნდა აღვნიშნოთ ორი მათგანი (გამოცემული ევროპის საბჭოს გამომცემლობის მიერ), რომლებიც ძალიან სასარგებლოა ამ მეთოდის განსახორციელებლად:

- *ევროპული ენობრივი პორტფოლიო*: სახელმძღვანელო მასწავლებლებისა და მასწავლებელთა ტრენინგებისთვის (დევიდ ლითლისა და რადკა პერკლოვას ავტორობით), გამოცემული 2001 წლის იანვარში;
- *ევროპული ენობრივი პორტფოლიოს გამოყენება*: ცხრა მაგალითი (გამოცემული დევიდ ლითლის მიერ).

# ნაწილი 1

ენათა უღობის ზოგადევროკული  
კომპეტენციები და ევროკული ენობრივი  
კორტფოლიო

სასწავლო მასალისა და მიდგომების  
აღწერისა და ანალიზის ტრი მეთოდი

# შესავალი

## რისთვის გვჭირდება ანალიზის გაღე და საერთო კატეგორიები

CEFR-მა ახალ ერას დაედო საფუძველი ევროპაში თანამედროვე ენების სწავლების ისტორიაში პირველი ენობრივი პოლიტიკის მეთოდის შექმნით, რომელიც ნამდვილად მოიცავს ყველა თანამედროვე ენას. 1975-1990 წლებს შორის გამოცემული „სადერული დონეები“ შექმნილი იყო ენის სწავლებისა და გამოყენების საერთო შეხედულებების საფუძველზე, თუმცა, იგი განკუთვნილი იყო ერთი კონკრეტული ენისათვის.

კონკრეტულ ენაში CEFR-ის პუბლიკაცია გამოისრულია არა ენის მასწავლებლებისათვის; არამედ პიროვნებებისთვის, რომლებიც ამ ენას მშობლიურივით ფლობენ. მაგალითად, CEFR-ის ფრანგული გამოცემა გამოისრულია საფრანგეთში არაბულის, ბასკურის, ბერბერული, ბრეტონული, კატალონიურის, ჩინურის, პორტუგალიურის, ებრაულის, იტალიურის, პროვანსულის, რუსულის, ესპანურის, თურქული და მისთ. მასწავლებლებისათვის, რომლებიც მუშაობენ საფრანგეთში ან ფრანგულის, როგორც უცხო ენის მასწავლებლებისათვის. რა თქმა უნდა, მათ შესაძლებელია სურდეთ, რომ ფლობდნენ ან კონსულტაცია გაიარონ CEFR-ის ვერსიასე იმ ენაში, რომელსაც ისინი ასწავლიან. ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ გამოიყენონ მოცემული ენის ლექსიკონი და მოიპოონ იმ დონისძებების ან კვალიფიკაციის დონეების აღწერა, რომელიც შედგენილია იმ რეგიონში უცხო ენის სწავლებისათვის. მაგრამ ენის მასწავლებლებისა და ტრენერებისთვის ყველაზე ბუნებრივი გზა იქნება – გამოიყენონ CEFR-ი; ამ დოკუმენტის მიღება შეუძლიათ მშობლიურ ენაზე, ეროვნულ (სახელმწიფო) ენაზე ან იმ საგანმანათლებლო ენაზე, რომელსაც უსდებთ მუშაობა.

CEFR-ის პირდაპირი დანიშნულება იმ სიტუაციების აღწერისა და ანალიზის მეთოდოლოგიების დადგენაა, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ენას ასწავლიან ან სწავლობენ. ამ პროცესში აუცილებელია ტერმინოლოგიის შერჩევა.

ენის მასწავლებლებმა იციან ტერმინოლოგიის მნიშვნელობის შესახებ. ისინი აკვირდებიან სიტუაციებს, რომლებიც მოსწავლეებს ხედებათ ტერმინოლოგიაში ცვლილებებისას, როდესაც ისინი ცდილობენ, უცხო ენის გრამატიკული ცნებები შეესაბამონ სათანადო ცნებებს მათს მშობლიურ ენაზე და თუნდაც ცნებებს იმ ენებში, რომლებსაც ისინი სწავლობენ. ჯერჯერობით ამ ფაქტს არასდროს არ გამოუწვევია ტერმინოლოგიების უნიფიკაცია ან მათ შორის სერიოზული პარამონისაცია. ფაქტობრივად, ტერმინოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული თითოეული ენის სისტემის თავისებურებებთან. ის დამოკიდებულია ლინგვისტურ მიდგომაზე, რომელიც მოყვანილია სახელმძღვანელოებში ან გამოკვლევებში. ის არასოდეს არ არის კატეგორიების კრებული, რომელიც შესაძლებელია, გადატანილ იქნეს ერთი ენიდან მეორეზე.

თანამედროვე ენების თეორიასა და სწავლების მეთოდებში ცვლილებები ყოველთვის აღინიშნებოდა ახალი ტერმინების გამოყენებით. ეს არ არის ერთსა და იმავე პედაგოგიურ დონისძებზე ახალი სახელების დარქმევის თეორიზირი ახირება, არამედ პედაგოგიური აზროვნებისა და ორიენტაციების წინსვლის მანევრებელი მისი განვითარების პრაქტიკაში.

ზოგიერთი ქვეყნის ენის სილაბუსებში შემოტანილი ტერმინოლოგია, მაგალითად, 2005 წელს საფრანგეთში კოლეჯებისათვის (საშუალო საფეხურის სკოლებისათვის) მიღებული სილაბუსები ხშირად მსგავსია CEFR-ის სილაბუსებისა. თუმცა გამოყენებულია შერჩეული ტერმინებიც. ისინი ერთად, თანმიმდევრულად ქმნიან თანამედროვე ენების სწავლა / სწავლებისადმი სპეციფიკურ მიდგომას. ყველა ენის მასწავლებლებს უნდა შეეძლოს დაადგინოს, თუ რას მოიცავს ეს ტერმინოლოგიური ცვლილებები. შემდეგ მათ შეეძლებათ გაიგონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათი დისციპლინის აქტიურ წარმონედაში.



CEFR-ის წევრი სახელმწიფოებისათვის წარდგინოთ, ევროპის საბჭომ უსრულებულყო გამჭვირვალობის მიღწევა, ურთიერთგაგება და თავსებადობა როგორც სწავლების სისტემებში, ისე ენათა კვალიფიკაციებში. ამ მიმართულებებს ხელს უწყობს ზოგადი საბაზო დონეები, რომელთა პოტენციური ნაჩვენები იქნება ყველა ენის მასწავლებლისათვის.

CEFR-ის ერთ-ერთი მიზანია, მხარი დაუჭიროთ ენის თანამედროვე სწავლების პროფესიონალებს, იფიქრონ საკუთარ პრაქტიკაზე. წარმოდგენილი მიდგომა მათ დაეხმარებათ გამოცდილებაში, სასწავლო მასალაზე ან პედაგოგიურ მეთოდოლოგიაზე მუშაობაში. ამგვარად, სხვადასხვა ენისა და კულტურის ან სხვადასხვა ქვეყნიდან მასწავლებლებს შეუძლიათ მიაღწიონ ურთიერთგაგებას და შეადარონ თავიანთი გამოცდილება. სწავლების სხვადასხვა დონეების მქონე ენის მასწავლებლებსა და მისწავლეებს სხვადასხვა ქვეყნიდან შეუძლიათ ხელი შეუწყონ გაცვლებს, დებატებს და ურთიერთგამდიდრებას. ანალიტიკური მიდგომა შესაძლებელია და უნდა ჩატარდეს ყველა მხარის არჩევანის, თითოეული ენის ტრადიციებისა თუ მახასიათებლების და შესაბამისი სწავლების კონკრეტული კონტექსტის მიმართ.

მოცემული მეთოდის უპირატესობა აშკარა გახდება, უპირველეს ყოვლისა კი ერთსა და იმავე სკოლაში სხვადასხვა ენის მასწავლებლებისთვის.

# თაზო 1

## ენის კურსის აღწერის ძირითადი კონცეფციები

CEFR არის მრავალმხრივი დოკუმენტი. ის ცდილობს თანმიმდევრულად მოიცვას ენის სწავლება და სწავლის მრავალრიცხოვანი სიტუაციები და პრობლემათა უმრავლესობა, რომლებიც გეხედება ასეთ სიტუაციებში. ეს მიზანი მიანიშნებს, რომ მისი გარკვეული იდეები კომპლექსურია.

უდავოა, რომ ყველა ენის მასწავლებელმა და ტრენერმა, ვისაც შეგნებულად უნდა მონაწილეობა მიიღოს ამ სფეროს დებატებში და განსაჯოს, თუ რა არის გადაწყვეტი სხვადასხვა პედაგოგიურ არჩევანსა და გადაწყვეტილებაში, უნდა მიმართონ ამ დოკუმენტს და იმსჯელონ ამ დოკუმენტის შინაარსის, ასევე მის თითოეულ ნაწილში დასმულ კითხვებზე. თუმცა, პირველად CEFR-ის მკითხველი შესაძლებელია საკმაოდ დაიბნეს მოყვანილი მრავალი კონცეფციით და დეტალური ახსნით, რაც მოცემულია სხვადასხვა თავში. CEFR-ის სრული გაგება მოითხოვს დროთა განმავლობაში რამდენჯერმე წაკითხვას, ინდივიდუალური მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიხედვით გარკვეული ნაწილების შერჩევას.



კითხვის დაწყების დასახმარებლად ქვემოთ მოვიყვანთ CEFR-ის რამდენიმე პარამეტრსა და რამდენიმე კონცეფციას, რომლებიც არჩეულია ენის მასწავლებლების ყოველდღიური პრაქტიკის დამახასიათებელი ბუნების გამო. არგუმენტის ილუსტრირებისათვის უნდა შემოვიტანოთ ეს კონცეფციები და შემოთავაზებული ტერმინოლოგია (დაბეჭდილი მსხვილი შრიფტით შესაბამის ტექსტში) ფრანგულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოდან ამონაწერების მოკლე ანალიზის საფუძველზე.

ეს თავი უბრალოდ აღწერს ტერმინებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სწავლების სიტუაციებში. ამ განსაზღვრებათა პრაქტიკული შედეგები გამოკვლეული იქნება შემდგომ თავებში.

ეს ფრანგულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოდან შემთხვევით შერჩეული გვერდია, რომელიც წიგნის მეათე თავის შემადგენელი ნაწილია. სახელმძღვანელოდან მოყვანილ გვერდებს წინ უძღვის რამდენიმე აქტიუობა და სავარჯიშო წარსულის გამოსახატავად, რომელშიც რამდენიმე დაუსრულებელი დროა შემოტანილი.

### 1. კონტაქტის მნიშვნელობა, რომელშიც სასწავლო მასალაა გამოყენებული

ეს კონტექსტი აღწერილია წიგნის წინასიტყვაობაში. მისი მომხმარებლები არიან უფროსი ასაკის ახალგაზრდები და მოზრდილები, რომელთაც შეუძლიათ დაუთმონ 60 საათი ფრანგულის უშუალო შესწავლას (ძალიან დიდი დროის მარეგულირებელი). ეს ხსნის იმას, თუ რაღამ არის წიგნის შინაარსი შემოფარგლული სამი ნაწილით, რომელთაგან თითოეული შედგება ოთხი თავისაგან – კომპლექსური, მაგრამ რიცხვებით შემოფარგლული ობიექტებით (ინფორმაციის მოთხოვნა და მოწოდება; კითხვა, ურთიერთობა, ლაპარაკი ვინმეს და ვინმეს გამოცდილება).



Page 86  
Des vacances formidables !  
Dialogue témoin :  
Salmi Jean Louis, Alors, ça se passe bien, les vacances ?  
- Non, c'est la catastrophe. Pour voir la mer, il faut monter sur une chaise et regarder par la fenêtre de la salle de bain. L'électricité ne fonctionne pas dans le salon, il y a un seul lit tout petit, c'est bruyant, les voisins font la fête toute la nuit, le frigo est en panne, le téléphone est coupé. Heureusement, j'ai mon portable et le jardin est miraculeux. En plus, il fait très chaud, mais bien entendu, la climatisation ne marche pas.  
- Vous n'avez vraiment pas de chance ! Tu as téléphoné au propriétaire ?  
- Oui, mais il est en vacances jusqu'à la fin août.

ნებისმიერი სხვა სახელმძღვანელო, რომელიც არ არის რომელიმე სპეციფიკური ინსტიტუციური სასოგალოებისთვის განკუთვნილი, საშუალებას არ იძლევა, ზუსტად დადგინდეს ამ მეთოდის მომხმარებლების მოთხოვნილებები. თუმცა ნათელია, რომ მოსწავლეებისა და ზრდასრულთათვის მოკლე ტრენინგის კურსისთვის ინტერესების ძირითადი სფერო იქნება პირადი ცხოვრება ან სასოგალოებრივი ცხოვრების წვეული საქმიანობები (პერსონალური ან სასოგალო ინტერესების სფერო).

მოკლედ, კონტექსტის ანალიზმა, რომელიც ასახულია სახელმძღვანელოში, შესაძლებელია გარკვეული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდოს მიღებული არსევიანის გაგებასა და შეფასებაზე. ეს უნდა დაეუკავშიროთ მომხმარებლების მახასიათებლებს, მათ სპეციფიკურ თვისებებს და მოთხოვნებს ენის გამოყენებასთან დაკავშირებით (პირადი, საჯარო, პროფესიული ან საგანმანათლებლო ინტერესების სფეროები).


ამის პირდაპირი შედეგები მოცემულია კომპირებულ ორ გვერდზე. შინაარსი და საქმიანობები ეხება პირად ინტერესებს (ინდივიდუალური მოთხოვნილებები და ურთიერთობები პირთა შორის). გარე სიტუაციები ამ ინტერესების სფეროში ხდება: სახლი და სასტუმროები - ადგილები, მოვლენები დაკავშირებულია არადადეგებთან, და სასრუნავი შემოიფარგლება ყოველდღიური ცხოვრებით. კომუნიკაციური მოქმედებებისთვის აღებული თემები არის სახლი და გარემომცველი სამყარო (ავჯი, საწოლი ოთახისა და სახლის მოწყობა, სერვისები და მისი), საჭმელი და სასმელი.

კომუნიკაციური ამოცანები დაკავშირებულია პირად ინტერესებთანაც: მეგობართან დარეკვა, სახლის მეპატრონესთან დარეკვა ბინის დაქირავების მიზნით, პრეტენზიების წაყენება დაქირავებული საცხოვრებლის თაობაზე, მცირე ზომის რეკლამების წაკითხვა, შენიშვნები არდადეგებზე.

საბოლოოდ, ამ ორმაგ გვერდზე სახელმძღვანელო გამოყენებულია ტექსტებისა და საეარჯიშოებისათვის. არსებობს სპეციალური ტექსტების ჩაწერილი ტექსტები (სატელეფონო საუბარი), წერილობითი ტექსტები (მცირე ზომის სარეკლამო განცხადება), საღაპარაკო ტექსტი, რომელიც მომზადებულია შემსწავლელთა მიერ (სატელეფონო საუბარი) და წერილობითი ტექსტი, მომზადებული შემსწავლელების მიერ (მიწვერ-მოწვერა არდადეგების განმაცხადებაში) შესავლითა და საეარაულო შინაარსის მინიშნებით. ეს არ არის რეალური დოკუმენტები და, ცხადია, შექმნილია სწავლების მიზნებისათვის.

აგრეთვე აღნიშნული იქნება, რომ CEFR-ის ტერმინოლოგიაში „ტექსტი“ გამოყენებულია ამგვარი გაგებით: მოიცავს „ენობრივი მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო, საუბარი თუ წერა, რომელსაც მომხმარებლები / შემსწავლელები მიიღებენ, გამოიყენებენ თუ შეცვლიან“ (CEFR, გვ. 93). ამის გამო, „ტექსტზე“ უნდა ვილაპარაკოთ, როგორც სპეციალური, ისე წერილობითი დოკუმენტის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსწავლეთა

ბის მიერ და შექმნილია მათ მიერ. აქვე განვიხილავთ დიალოგებსაც: იმ წინადადებების მოწოდებით, რომლებიც შინაარსობრივად ერთ მთლიანობას ქმნიან.



**რა შვიკლავა აქედან ისწავლოს ენის მასწავლებელმა?**

სწავლების თანმიმდევრობაზე ან სასწავლო მასალაზე ზემოქმედება აუცილებლად ნიშნავს სწავლებაზე არსებული შესაძლებლობისა და მოსწავლის ან სტუდენტის მოთხოვნილებების განხილვას. როგორც ჩანს, ეს პარამეტრები ძალიან ხშირად არასწორად აღიქმება. სწავლების სიტუაციები, რომლებიც ძირითადად გეხდება კლასებში, ძირეულად განსხვავდება იმ კონტექსტისაგან, რომელსაც იყენებს ფრანგულის, როგორც უცხო ენის ეს სახელმძღვანელო. ჩვენ იშვიათად გვაქვს საქმე ზრდასრულებთან და მოსწავლეებს უფრო მეტი დრო აქვთ ენის სასწავლებლად. მათი მოთხოვნილებები არ შემოიფარგლება პირადი ინტერესებით, ან თუნდაც მხოლოდ სამსახურებრივი ინტერესებით პროფესიული კურსების შემთხვევაში. თანამედროვე ენების სილაბუსების კულტურული შინაარსი მოიცავს იმ თემების ჩართვის აუცილებლობას, რომლებიც მოიცავენ როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს (საზოგადოების ორგანიზაცია და ფუნქციონირება, პიროვნებათშორისი დამოკიდებულებები სპეციფიკურ სოციალურ ფარგლებში, მნიშვნელოვანი კულტურული ორიენტირები, დებატები ქვეყანაში და მისთ.) რა თქმა უნდა, ეს ინტერესები უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა დატვირთვით მიღწეულ სწავლის დონესა და მოსწავლის პირად მიზნებს. უფრო მეტიც, ორენოვან საგანმანათლებლო კურსებში, იმ სისტემებში, სადაც ენის სწავლების ინტეგრირება ხდება სხვა საგნების სწავლებაში და კლასში ემზადებიან ორენოვანი დიპლომისათვის – მოსწავლის ინტერესები ემთხვევა აკადემიურ ინტერესებს. ენის მასწავლებლები ნახავენ ცხრილებს CEFR-ში, რომლებიც უჩვენებენ თემატურ მაგალითებს და თითოეული ინტერესის სფეროს გარემომცველ სიტუაციებს. აღინიშნება, რომ CEFR-ის მიდგომა არ გამოირიცხავს კულტურულ კონტექსტს. ის სავსებით ინტეგრირებულია სწავლების სიტუაციის ანალიზის პარამეტრებთან. ადგილი, რომელსაც თანამედროვე ენის სწავლება კულტურულ ნაწილს უთმობს მრავალი ქვეყნის განათლების სისტემებში (დაწყებით სკოლაში თუ დაბალ და ზედა საშუალო სკოლაში), წარმოიშობა მოსწავლეების ზოგად განათლებაში ამ საგნის კონკრეტული როლით. აგრეთვე აცხადებენ, რომ ენის შესწავლა შეუძლებელია შესაბამისი ქვეყნის კულტურისა და ცივილიზაციის შესწავლის გარეშე. ეს შეხედულება არანაირად არ ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს მიდგომას, რომელმაც CEFR-ის შემოტანის შემდეგ აღნიშნა, რომ უნდა გაეთვალისწინოთ ყოველი მტკიცების სოციალური ფონი. ცხადია, რომ სწავლების სიტუაციის ან სასწავლო მასალის აღწერა სრულიად უნდა ითვალისწინებდეს ასეთ აზრს.

## 2. რას გულისხმობს CEFR „კომპეტენციის“ ძველი?

CEFR განასხვავებს პიროვნულ ზოგად კომპეტენციას (ცოდნა, უნარი და ეგზისტენციალური კომპეტენცია) კომუნკაციური კომპეტენციისაგან.

### 2. 1. ინდივიდუალური ზოგადი კომპეტენცია

ფრანგულის, როგორც უცხო ენის, ამ სახელმძღვანელოს მომხმარებელთა ინდივიდუალური ზოგადი კომპეტენცია საკმაოდ მაღალია საზოგადოების შესახებ ცოდნის თვალსაზრისით (იგულისხმება მაცხოვრებლებისა და მფლობელების უფლებები და მოვალეობები და მისთ), უნარები (სახელმძღვანელო უწყებს, რომ მომხმარებელმა იციან, თუ როგორ წამოაყენონ პრეტენზია და მისთ) და ეგზისტენციალური კომპეტენცია (მომხმარებლებს მოეთხოვებათ სცენების გათამაშება სახლის მეპატრონესა და მობინადრეებს შორის, რაც მითითებს გარკვეულ რისკს და გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას შემსწავლელთა შორის). რასაკვირველია, ეს წინაპირობა პირდაპირ უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის მახასიათებლებს (კონტექსტი, რომელშიც გამოყენებულია სახელმძღვანელო). თუ ამ გვერდების შინაარსებს შევისწავლით სოციო-ლინგვისტური ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით, რომელიც დაკავშირებულია ფრანგულის სწავლებასთან, დაეინახეთ, რომ საკითხები, რომელთაც განიხილავენ, არის სახლის დაქირავების შესაძლებლობა ზღვის პირას ზაფხულში, დაკისრებული გადასახადი, სილამაზეების ძიება, ხალხის დაკავშირების სირთულე აგვისტოში (ტრადიციულად დასვენების თვე) და, ალბათ, სამწუხაროდ, დასვენების ადგილებში გაერკვლეული ხელისაწყოები, რის თაობაზეც უნდა გავაფრთხილოთ ტურისტები. თუმცა, ეს უკანასკნელი სასტუმროს დასვენების იდილიური სურათით იწყება.

### 2. 2. კომუნკაციური კომპეტენცია

ამ ორმაგ გვერდზე კომუნკაციური კომპეტენციის განვითარება მოიცავს მის სამ კომპონენტზე მუშაობას:

ა) ენობრივი კომპონენტი, ანუ

- გრამატიკული კომპეტენცია: ისწავლონ, თუ როგორ ჩამოაყალიბონ წარსული უსრული დრო და გამოიყენონ ის კომუნკაციური ამოცანებისათვის, რომელიც მითითებს ამ დროის გამოყენებას (მოწყენილობის გამოხატვა წინა თვის მუდმივი დისკომფორტის შესახებ, წერილობითი გადმოცემა, თუ როგორ წაიარა ახლახან დამთავრებულმა არდადეგებმა სასტუმროში);

Terminaisons : -ais, -as, -ait, -ions, -iez, -aient

Pour former l'imparfait, il faut connaître la forme utilisée avec nous au présent :

nous pouvons	→ je pouvais
nous faisons	→ je faisais
nous comprenons	→ je comprenais
nous disons	→ je disais

En dehors du verbe être (nous sommes → j'étais), cette règle fonctionne avec la totalité des verbes français.




- ფონოლოგიური და ორთოგრაფიული კომპეტენციები: ბგერის აკუსტიკური და გრაფიკული ურთიერთდაკავშირება;

● **Phonologie / graphie du son [s] en finale**  
Écrivez et classez les mots qui se terminent par le son [s] dans le tableau.

1. Je vis en paix.	et
2. Ce n'est pas vrai.	it
3. Il fait très beau.	ait
4. Tu es de la maison ?	on

- ლექსიკური კომპეტენცია: აქ წერითი ამოცანა ცოდნის გამდიდრებას ემსახურება.

<p>Avant de quitter l'hôtel Milton, prenez quelques minutes pour remplir ce petit questionnaire et donnez-nous votre opinion sur...</p>	
l'accueil	très amical
les chambres	confortables
le service	impeccable
les repas servis au restaurant	excellents
le petit déjeuner	copieux
le personnel	sympathique
les tarifs	corrects



**ბ) სოციოლინგვისტური კომპონენტი**

მოცემული ორი ტექსტი (მოსმენილი დიალოგი და მომხმარებლების მიერ შექმნილი დიალოგი) საშუალებას იძლევა, ისწავლონ სრდილობიანი ქცევა სატელეფონო საუბრისას მეგობართან თუ უცხოთთან. წერითი დავალება მომხმარებლებს წერის წესებს ასწავლის, როდესაც ადგილი აქვს პირად კომუნიკაციას მისთვის ძალიან ახლო პიროვნებასთან.


„სოციოლინგვისტური კომპეტენცია ეხება ენის გამოყენების სოციალური განსაზღვრებებისთვის აუცილებელ ცოდნასა და უნარებს (...): სოციალური ურთიერთობების ლინგვისტურ ნიშნებს; თავისიან ქცევას; ხალხური სიბრძნის გამონათქვამებს; ჩანაწერის განსხვავებებს; დიალექტსა და აქცენტს“ (CEFR, გვ. 118).

**გ) პრაგმატული კომპონენტი**

მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაღებულ გეერდსე დეტალურად არ განიხილება ეს კომპონენტი, ის გეხდება სულ მცირე ორ შემთხვევაში: მოკლე საპირისპირო გამოხატულებებისგან შემდგარ წერილობითი ტექსტში და ურთიერთგაცვლით მარტივ ვერბალურ მოვლებებში:

„განიხილება პრაგმატული კომპეტენციები მომხმარებლის / შემსწავლელის მიერ იმ პრინციპების ცოდნით, რომლის შეტყობინებაა:

- ა) ორგანიზებული, სტრუქტურული და მოწესრიგებული („მსჯელობის კომპეტენცია“);
- ბ) გამოყენებულია კომუნიკაციური ფუნქციების შესასრულებლად („ფუნქციური კომპეტენცია“);
- გ) აწეობილია ინტერაქტიული და ტრანსაქციული სქემის მიხედვით („შექმნის კომპეტენცია“). (CEFR; გვ. 123).





**რა შეიძლება აქედან ისწავლოს  
ენის მასწავლებელმა?**

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, კომუნიკაციური მიდგომა, რომელიც მოცემულია CEFR-ში, არ აღგენს და არ აფასებს ენის თანმიმდევრულ შესწავლას. გაგების ან გამოთქმის აქტივობები, კომუნიკაციური დაეალებების საშუალებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებას, რაც წარმოადგენს პროგრესის ყველაზე მარტივ გზას. CEFR-ის სარგებლობა შეგვახსენებს, რომ კომპეტენციები იცვლებიან ბუნებრივად და ყველა მათგანი ეხმარება მოსწავლის წარმატებას. ენის მასწავლებლებს ამის გამო შეუძლიათ საკუთარ თავს შემდეგი კითხვები დაუსვან მათი სწავლების პრაქტიკისა და მასალის შესახებ:

- რა წვლილი შეტანილი მოსწავლის ინდივიდუალური ზოგადი კომპეტენციის გასაითარებლად? მაგალითად, რა დონეზე უწეობს ხელს მოსწავლეს სამუშაოს სოციალური ფორმები, დასმული ამოცანები და შესწორება / შეფასების პრაქტიკა იმისთვის, რომ მან საღაპარაკო და წერილობით გამოხატვაში გარისკოს, რომელიც ევსისტენციალური კომპეტენციის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუ პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს თანამედროვე ენაში?
- მართლა მიეყვართ თუ არა აღნიშნულ აქტივობებს კომუნიკაციური კომპეტენციების სხვადასხვა კომპონენტის გაუმჯობესებამდე?
- კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვნად მოიცავს თუ არა სოციალურ და პრაგმატულ კომპონენტებს?

**3. ენობრივი აქტივობები სწავლების მეთოდურ ცენტრში**

მნიშვნელოვანი ენობრივი აქტივობებია:

- სმენითი აღქმა;
- ვიზუალური აღქმა;
- მეტყველების ინტერაქტივი (დიალოგურ სიტუაციაში);
- მეტყველების წარმოქმნა (აღწერა, წარდგენა, თხრობა და მისთ.);
- წერილობითი გამოხატვა (მოხსენება, სტატია და მისთ.);

**CEFR მოიცავს:**

- წერით ინტერაქტივს (ელ-ფოსტები და მისთ.);
- შუამდგომლობას ერთი და იმავე მოსაუბრის მიერ ორ ენას შორის ან ორ პიროვნებას შორის, რომლებიც ერთსა და იმავე ენაზე ან ორ სხვადასხვა ენაზე მეტყველებენ.

ყურადღების, როგორც უცხო ენის ამ სახელმძღვანელოში ენა ისწავლება ენობრივი აქტივობების მიმდინარეობით: თავდაპირველად - სმენითი აღქმა, ჩაწერილი სატელეფონო საუბრის მოსმენაზე დაყრდნობით; შემდეგ დაპირაკით ურთიერთობა დიალოგის შექმნისას იმავე საგანზე, მაგრამ სხვადასხვა პიროვნებას შორის, ბინის გაქირაების რეკლამის ვიზუალური აღქმა; წერითი აქტივობა: არდადეგების შესახებ მონათხრობი წერილის ფორმით. გარკვეული ენობრივი აქტივობები ამ ორ გვერდზე არ წარმოადგენს ტრენინგის საგანს: სხვათა შორის, შუამდგომლობითი აქტივობა ენებს შორის ან რამდენიმე პიროვნებას შორის არ არსებობს (ინფორმაციის ნაწილის გადაცემა მესამე პირისთვის, თარგმნა, ინფორმაციის პერიფრაზირება მეორე ენაზე და მისთ.), ანასთანავე, არ არის საუბრის გამართვა (მოვლენათა აღწერა და მისთ.).

თითოეული ენობრივი აქტივობა დამოუკიდებლად მიმდინარეობს. მაგალითად, სახელმძღვანელო არ გვიჩვენებს არანაირ სუპერ კომენტარს მოსმენილი სატელეფონო საუბრის შინაარსზე, რომლითაც იქმნებოდა გაგებისა და წარმოქმნის აქტივობების კომბინაცია და, აქედან გამომდინარე, ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის. ამ ენების აღქმისა და წარმოქმნის აქტივობებში ტრენინგი მოცემულია სპეციალური დაეალებებით.


თუქცა, ნათელია კავშირი ამ დავალებებს შორის ინტერაქტივის ფორმიდან (ორი სატელეფონო საუბარი ეხება ერთსა და იმავე საგანს), აღებული ლექსიკონიდან და ენობრივი ასპექტებიდან, რომლებიც მიიღება ინსტრუქციებისა და სალაპარაკო სიტუაციებიდან.

დავალებებს თან ახლავს დამატებითი საშუალებები: პირველი დიალოგის შინაარსი მოქმედებს, როგორც მეორე დიალოგის შექმნის / წარმოქმნის ინსტრუქცია და, აქედან გამომდინარე, მცირდება დაყოფების სირთულე; მნიშვნელოვანი ენობრივი საშუალება მოცემულია ინფორმაციით არასრული დროის გამოსახატაად, ბეჭდვით რეკლამაში მოცემული ლექსიკონის მეშვეობით და ლექსიკონით, რომელიც მოწოდებულია წერითი დავალებების შესასრულებლად და მისთ; უფრო მეტიც, ამოცანის პროგნოზირების სარისხი ძალიან მაღალია და ეს მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დავალება, რომელიც ზრდის სალაპარაკო ინტერაქტივის სირთულეს, მაინც არანაირად არ არის უმნიშვნელო („წარმოიდგინე საუბარი ჟან-ლეისა და სახლის პატრონის შორის არდადეგებიდან მისი დაბრუნებისას“). ეს ორი როლი არ არის თანაბრად რთული; მაშინ, როცა მოზინადრის როლი აშკარად შესაძლებელია, აღნიშნულ დახმარებას დაეყრდნოს, მფლობელის როლი არ იღებს ასეთ დახმარებას და მისი წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად განაპირობებს დიალოგის განვითარებას.

ზოგიერთი დავალება მომხმარებელს სათანადო სტრატეგიების გამოყენებას ურჩევს: ისეთს, როგორცაა, მაგალითად, ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მოზილვისება, რათა შეასრულონ ეს დავალებები. მოდით, განვიხილოთ ორი ასეთი სტრატეგია:

- დიალოგის მოსასმენად მომზადება დაბეჭდილი რეკლამის წაკითხვით და ამ ტექსტის გაგების მიზნით დავალების შესრულება რეკლამაში აღნიშნული საშუალებების გამოყენებით;
- საუბრის წარმოქმნის ამოცანის დაგეგმვა დიალოგის მოსმენისას კონსპექტის გამოყენებით და დავალების შესრულება კონსპექტის მიხედვით. როლის შესრულება შეიძლება გაკონტროლდეს რეკლამის შინაარსით.



**რა შეიძლება აქედან ისწავლოს ენის მასწავლებლებმა?**

განსხვავება, რომელიც CEFR-მა გააელო კომპეტენციებს შორის, ენობრივი აქტივობები და კომუნიკაციური დავალებები უნდა დაეხმაროს ენის მასწავლებლებს შემდგომში:

- ნათლად აღიქვან კავშირი კომპეტენციასა და აქტივობას შორის; კომპეტენციები შესაძლებელია გააქტიურდეს და შეფასდეს მხოლოდ გაგებით, შუამდგომლობის აქტივობების გამოხატვით;
- განასხვავოს ენის გამოხატვითი აქტივობები, კერძოდ, სამეტყველო კონტექსტში, ინტერაქტიულ სიტუაციებში და წარმოქმნაში (სხვადასხვა კონტექსტებში, სამუშაოს სოციალურ ფორმებში, დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებში);
- გააანალიზოს ამ სხვადასხვა აქტივობის კომბინაციები ამოცანებში, რომლებსაც სოხოვენ თავიანთ მოსწავლეებს;
- ყურადღება დაუთმონ სტრატეგიის შემუშავებას, რაც აუცილებელია უწყველო დავალებებისათვის.



ამ გადაღებულ გვერდზე დაყრდნობით, ფრანგულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოს სტრუქტურა ერთობ დამოკიდებულია ენობრივ პროგრესზე და დაბალანსებულ მეცადინეობაზე სხვადასხვა ენობრივ აქტივობაში. ამ კურსში მოცემული თემები და შესრულებული კომუნიკაციური დაეალებები ცდილობენ ზრდასრული სასოგადოების სავარაუდო მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ ამ ტიპის სწავლებისათვის მცირე დროის დათმობით.

## დასკვნა

ძალიან საეჭვოა, რომ ამ აღწერის წაკითხვამ ყველა მკითხველს დაამახსოვრა CEFR-ის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია და კატეგორიები. ისინი კიდევ ერთხელ იქნება გამოყენებული აღწერით ამონარიდებში სხვა სახელმძღვანელოებიდან შემდგომ თავებში.

**მნიშვნელოვანია აღინიშნოს,**

- რომ სასწავლო შინაარსი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტექსტთან (სწავლების მიმდებთა მახასიათებლები და მოთხოვნილებები, სწავლის მატერიალური კონტექსტი და ა. შ.) და შეიძლება აღწერილი იყოს კურსში მოცემული ინტერესების დასუსტებით (პერსონალური, სასოგადო, სამსახურეობრივი, საგანმანათლებლო), გარე სიტუაციებით, რომლებშიც დაეალებების მოთხოვნა ხდება, შესაბამისი თემებით და გადაცემული სოციოლინგვისტური ცოდნით;
- რომ CEFR-ი განარჩევს ინდივიდუალურ სოგად კომპეტენციას და კომუნიკაციურ კომპეტენციას და ეს უკანასკნელი იყოფა ენობრივ, სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ კომპეტენციებად;
- რომ ენის აქტივობები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, ეხებიან თუ არა აღქმასა და წარმოქმნას, და წარმოქმნის აქტივობებს, იმის მიხედვით, მათ ადგილი აქვთ ინტერაქტიულად თუ უწვევტად;
- რომ კომუნიკაციური დაეალებების შესრულება მოითხოვს სტრატეგიებს, რომლებიც იმავე მეთოდით უნდა განვიითარდნენ, როგორც კომპეტენციები.

კონრაძი

ინტონაზია

ბაჟი სიტაუთი

თემატი

ინდივიდუალური

სოგადი კომპეტენციები

კომუნიკაციური კომპეტენციები:

- ლინგვისტური

- სოციოლინგვისტური

- პრაგმატური

ენობრივი აქტივობები

(წარმოქმნა და აღქმა):

- ბაჟი

- წარმოქმნა

- უსამგომოლობა

კომუნიკაციური ლინგვისტური

სტრატეგიები

# თავი 2

## ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა თანამედროვე ენების სწავლაში

CEFR-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არ არის ინსტრუქცია. ის რეკომენდაციას არ უწევს კონკრეტული ლინგვისტური სკოლის ან თანამედროვე ენების სწავლების სპეციფიკური მიდგომის მიღებას. თუმცა ყველამ ვიცით, რომ ანალიზური ბადის ან ტერმინოლოგიის მიღება არ არის ნეიტრალური ქმედება. მას ბუნებრივად მიეყვართ სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ შეხედულებამდე. CEFR-ის მიერ შემოტანილი განსხვავება სხვადასხვა ენის აქტივობებს შორის (გაგება და გამოხატვა სალაპარაკო და წერით კონტექსტებში, შუამდგომლობა) აუცილებლად წარმოშობს ასეთი განსხვავების საჭიროებას სწავლაში, ტრენინგსა და შეფასებაში.

### 1. რა არის საკომუნიკაციო ამოცანა?

ამ თავში უნდა გამოიყვილით CEFR-ის მიერ აღნიშნული სწავლების კონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტები, რამდენადაც ფაქტობრივად მთელი ევროპის საბჭო მუშაობს ამ სფეროში, კერძოდ „აქტივობაზე ორიენტირებულ მიდგომაზე“ თანამედროვე ენების სწავლასა და სწავლებაში.

აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა ენის მომხმარებლებს (და შემსწავლელებს) „სოციალურ აგენტებად“ განსაზღვრავს, ანუ საზოგადოების წევრებად, რომელთაც აქეთ დაეაღებები [...] მოცემულ პირობებში, სპეციფიკურ გარემოსა და მოქმედების კონკრეტულ სფეროში (CEFR, გვ. 9).

„ამოცანა განმარტებულია ნებისმიერ გამიზნულ ქმედებად, რომელიც ინდივიდის მიერ აუცილებლადაა მიჩნეული, რათა მიღწეულ იქნეს მოცემული შედეგი გადასაწყვეტი პრობლემის კონტექსტში, ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს ან მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული (CEFR, გვ. 10).


1 თავში მოყვანილი იდეების თანმიმდევრულობა კელაე ძალაშია. CEFR-ში გაერთიანებული ენის სწავლებისა და სწავლის შეხედულება უპირატესობას ანიჭებს ამოცანებს, რომლებიც მოიცავენ ერთ ან მეტ ენობრივ აქტივობას, რომლისთვისაც მობილიზდებიან სოციალური აგენტები, შეძენილი სტრატეგიების, მათი ინდივიდუალური ზოგადი კომპეტენციების (გარემოს ცოდნა და სოციოლინგვისტური ცოდნა, ქცევები და მისთ.) და მათი საკომუნიკაციო კომპეტენციების მიხედვით (ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული).

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ამოცანა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ქმედება მოტივირებულია მიზნით ან საჭიროებით, იქნება ეს პერსონალური, თუ სწავლის სიტუაციით წარმოქმნილი – თუ მოსწავლე ნათლად აღიქვამს მიღწეულ მიზანს და თუ ასეთ ქმედებას მიეყვართ შესამჩნევ შედეგამდე, შეხედულება, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ იცვლება პედაგოგიის პროექტისკენ, რომელიც, ცხადია, ყველაზე წარმატებული აქტივობაზე-ორიენტირებული მიდგომაა. მიუხედავად ამისა, საკომუნიკაციო ამოცანისთვის მიჩნეული ცენტრალური ადგილი ეხება ყველა პედაგოგიურ ქმედებას.

მოდით, შევადაროთ ორი ამონაწერი (გადაღებული ქვემოთ) ესპანური სახელმძღვანელოს იმავე თავიდან:



Écoute la description de la place. Le dessinateur a fait sept erreurs en la dessinant. Repère-les. Réécoute la description et note les différences sur ton cahier de brouillon. Si tu sais dessiner, représente la place en respectant les indications données dans l'enregistrement.



**Escucha las palabras y apunta las que tienen el sonido «ch».**

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სალაპარაკო შეტყობინების მიღების აქტიუ-  
ბასთან. მაგრამ ანალოგია აქ მთავრდება.

მაშინვე აღმონინდება, რომ მეორე ამონაწერს არ აქვს საკომუნიკაციო ამოცანის  
მახასიათებლები. მოსწავლეების აქტიუობას ნამდვილად ითხოვენ (სიტყვების სიის მი-  
მატება). მაგრამ ეს მხოლოდ ფორმის საკითხია. შეუქმლებელია რეალური ცხოვრები-  
სეული სიტუაციის გამოყოფა, რომელიც მოსწავლეებში ბგერის ამოცანობის საჭიროებას  
შექმნიდა, რაც აღნიშნული იყო მოსმენილ ფრაზებში.

მიუხედავად ამისა, პირველი ამონარიდის შემთხვევაში, შესაძლოა ამოცანაზე  
ლაპარაკი, რადგანაც ამოცანა ეყრდნობა მოსმენილი გამონათქვამების მნიშვნელობას;  
მცემული ინსტრუქცია არის კარგად ცნობილი აქტიუობის მსგავსი, რომელიც სტიმულს  
აძლევს მოსწავლის ინტერესებს. მსგავსად ამისა, ცხადია, შედეგს აქვს უფრო მეტი  
საკომუნიკაციო მნიშვნელობა, ვიდრე მეორე ამონარიდს, რადგანაც ის შეიცავს ინ-  
სტრუქციების სტროფში მოდიფიცირებას.

ეს არ იქნებოდა სიურპრიზი არც ერთი თანამედროვე ენის მოსწავლეებისათვის  
და უკვე გვაქვს მრავალრიცხოვანი წარმატებული საკომუნიკაციო ამოცანების მა-  
გალითი, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. უნდა შემოვიფარგლოთ  
ექვსი მაგალითით დაწვებული დაწვებითი სკოლიდან, საშუალო სკოლის დამთავრე-  
ბამდე.

## 2. ამოცანების მარტივები თანამედროვე ენების სახელმძღვანელოებში



*Lieber Ullrichschmarer!*

*Ich heiße*

*Ich bin ... Ich bin sehr brav!*

*Ich wünsche mir*

*und*

*Vielen, vielen Dank!*

*Doro(e)*

აქ ჩვენ უყოყმანოდ შეგ-  
ვიძლია ვილაპარაკოთ ამოცანაზე,  
რადგან შედეგი ამოცნობადია (საშო-  
ბაო წერილი თოვლის ბაბუასთან) და  
სიტუაცია განსაზღვრულია (მიმღები  
არის ნაცნობი და წერილის დამწერი  
წერს საკუთარი სახელით). მოსწავ-  
ლეებს სთავაზობენ დაწერონ  
ნამდვილი წერილი, რომელიც  
ფაქტობრივად შემდეგ შეიძლება  
გაიგზავნოს.

ამ ასაკის მოსწავლეთა უმრავლესობა მოცემულ ამოცანას თუნდაც იუმორითა და განეხებულები შეხედულებით რომ უდგებოდეს, თიფლის ბაბუასადმი გაგზავნილი წერილი მაინც კულტურული რეალობაა.

**PARLER**

**Têtes en l'air**

- Observez les 2 illustrations. Identifiez les objets oubliés.
- Téléphonez à chaque personne pour lui rendre ce qui lui appartient (sa. lunettes, etc.).



Qui sont-ils ?



Jean la copine de Jean



Pierre la sœur de Pierre



le fils de Pierre sa fiancée

სიტუაცია საკმაოდ პგავს სინამდვილეს და სატელეფონო საუბარი, რომელიც უნდა შედგეს, მოტივირებულია მისი მნიშვნელობით. მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ იმ პიროვნების იდენტობა, რომელსაც უკავშირდებიან, დარწმუნდნენ, რომ ისინი მართლაც დაკარგული ნივთის პატრონს ელაპარაკებიან და თანხმდებიან მისი დაბრუნების გზებსა და საშუალებებზე.

ამ ამოცანის შესრულება რომც არ ქმნიდეს წერილობით პროდუქციას, შედეგი ნათელია.



**ROLE-PLAY: ARGUE YOUR CASE!**

You are a senior student in an American high school. You have a social studies project in which you must generate at least 5 suggestions for reducing or avoiding violence. You discuss your ideas with a classmate who has different views on the subject. Both of you want to prevent gun violence but you do not agree on the ways to reduce it.

1. Decide on a role:
  - You are pro-gun. You are an NRA supporter.
  - You are anti-gun. You want more gun control.
2. Prepare your arguments. Select a few examples to illustrate them.
3. Act out your role.

